

საქართველოში საპენსიო ფონდების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საკითხისათვის

დიანა უგლავა

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტი, diana.uglava@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: საპენსიო ფონდი; ბუღალტრული აღრიცხვა; ფინანსური ანგარიშგება; საპენსიო აქტივები.

J.E.L. classification: M41, M48

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.25.10>

ციტირებისთვის: უგლავა დ., (2023) საქართველოში საპენსიო ფონდების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საკითხისათვის. ეკონომიკური პროფილი. ტ. 18, 1(25), გვ. 18–24. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.25.10>

ანოტაცია

საქართველოს საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხების ოდენობა დამოკიდებულია ინდივიდუალური შენატანების სიდიდეზე, ფონდის მოგებასა და მონაწილეთა რაოდენობაზე. საპენსიო სისტემა გრძელვადიანი ფინანსური რესურსების წყაროა, რომელიც ხელს უწყობს კაპიტალური ბაზრის განვითარებას, ეს უკანასკნელი დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. საპენსიო ფონდების ეფექტურობის სერიოზულ გამოწვევას ქმნის საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ინფორმირებულობა, თუ როგორ ხორციელდება საპენსიო შენატანები, ინვესტირება დაგროვებული თანხებისა, როგორია მათი სარგებლიანობა და რისკები. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საპენსიო ფონდების დაცულობა, გამჭვირვალობა და კონტროლი.

ჩვენს ქვეყანაში კერძო დაგროვებითი საპენსიო ფონდი ახლო წარსულში ჩამოყალიბდა და აუცილებელია ანგარიშგების წარდგენისათვის სრულყოფილად დაინერგოს ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, მათი მოთხოვნების

საფუძველზე მომზადდეს და გამოქვეყნდეს ფინანსური ანგარიშგება.

შესავალი

საქართველოში ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში გაიზარდა საპენსიო ასაკის მოქალაქეთა რაოდენობა. ეს ნიშნავს, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის წილმა, რომელიც თითქმის ყოველწლიურად მცირდება, უნდა იტვირთოს პენსიონერთა სოციალური უზრუნველყოფის პირიქით, მზარდი ოდენობა. აქედან გამომდინარე, საპენსიო შემოსავალი იმ შემთხვევაში იქნება ხელფასის ადეკვატური, თუ იფუნქციონირებს დამატებითი დანაზოგების მექანიზმები.

საქართველოში კერძო საპენსიო სისტემის დანერგვა არის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება, რითაც გაუმჯობესდება პენსიონერთა გრძელვადიანი საპენსიო უზრუნველყოფა. საქართველოს მსგავს მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს არ უწევთ რაიმე ძირეული სიახლეების გამოგონება აღნიშნულ სფეროში, რადგან ევროპის ქვეყნებს სოციალური სფეროს განვითარების მდიდარი და მრავალფეროვანი გამოცდილება გააჩნიათ. მათი გამოცდილების გაზიარებაც საკმარისია საკუთარი მოდელის შემუშავებისა და პრაქტიკაში წარმატებით დასანერგად. სახელმწიფომ უნდა გასცეს გარანტიები, რომ ყველა მოქალაქეს საპენსიო დაზღვევით ხანდაზმულობის შემდეგ არ დაემუქრება სიღარიბეში ცხოვრება და თავისი შენატანების მეშვეობით შეეძლება შეინარჩუნოს

პენსიამდელი ცხოვრების დონის ნაწილი მაინც (ჭიკაიძე, 2017:25).

ძირითადი ტექსტი

საქართველოში საპენსიო შენატანები არაკომერციულ საპენსიო დანაზოგების საპენსიო ფონდში მიიმართება. ცნობილია, რომ აღნიშნული საპენსიო მოდელი ასევე ფუნქციონირებს დიდ ბრიტანეთში. საპენსიო ფონდების ეფექტურობისათვის აუცილებელია საპენსიო აქტივების ინვესტირება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც. ადგილობრივ ეკონომიკაში საპენსიო აკუმულირებული თანხები ინვესტირდება ფასიანი ქაღალდების მეშვეობით, რითაც ის ხელს შეუწყობს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებასაც. კანონმდებლობის თანახმად, საპენსიო სახსრების ინვესტირებისათვის საპენსიო სააგენტოში შეიქმნა საინვესტიციო საბჭო. მისი მთავარი ფუნქციაა საინვესტიციო დოკუმენტების შემუშავება, რის შესაბამისად განხორციელდება საპენსიო აქტივების ინვესტირება. სწორედ საპენსიო სააგენტო, რომელიც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის სუბიექტია, ვალდებულია განხორციელოს პროცესები დაგროვებითი საპენსიო სისტემის მართვისა და კონტროლისათვის.

სახელმწიფოს დიდი გამოწვევაა თვალი ადევნოს და აკონტროლოს საპენსიო ფონდების მოძრაობის ნორმები, მათი უფლებები, ვალდებულებები და გარანტიები, რომლითაც დაცული იქნებიან დაზღვევით მოსარგებლე პირები, საკანონმდებლო ნორმებით უზრუნველყოს საპენსიო ფონდების მოძრაობის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული სტანდარტებით. სწორედ ამან უნდა აამაღლოს საპენსიო ფონდების ფინანსური ინფორმაციის საჯაროობა, მოსახლეობის ცნობიერება და სანდოობა საპენსიო ფონდების წარმატებით ფუნქციონირებასა და სარგებლიანობაში. ეს საწინდარია მოსახლეობის ჩართვისა საპენსიო ფონდების შექმნა-ინვესტირებაში.

საპენსიო ფონდების დიდი მნიშვნელობი-

დან გამომდინარე, მათი ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება თავიდანვე ჩაერთო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში. საერთაშორისო პრაქტიკით პენსიების საბუღალტრო აღრიცხვის მოსაწესრიგებლად პირველი სტანდარტი- Statement of Standard Accounting Practice (SSAP) 24 - შეიქმნა ბრიტანეთში, რომელიც ძალაში შევიდა 1988 წლიდან და დარჩა 12 წლის განმავლობაში. (P.J.Sweeting,2011). SSAP 24 ითვალისწინებდა, რომ აქტუარული შეფასება აუცილებელი იყო საპენსიო სქემის წლიური ღირებულების შესაფასებლად.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 26 „საპენსიო პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება,“ რომელიც ძალაში შედის იმ ფინანსური ანგარიშგებისათვის, მოიცავს 1988 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებს, განიხილავს საპენსიო პროგრამას, როგორც ანგარიშვალდებულ ერთეულს, განცალკევებულს პროგრამაში მონაწილე დამქირავებელთაგან. ყველა სხვა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი საპენსიო პროგრამის ანგარიშგებას მხოლოდ იმ ნაწილში ეხება, რომელსაც ვერ ცვლის მოცემული სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტი საპენსიო პროგრამის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებას განიხილავს მის ყველა მონაწილესთან, როგორც ერთ მთლიან ჯგუფთან მიმართებით. სტანდარტი არ ეხება პროგრამის თითოეული მონაწილის ანგარიშგებას. იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს ისეთი საპენსიო პროგრამები, რომლის აქტივები ფინანსდება სადაზღვევო კომპანიების მიერ, ექვემდებარება ბუღალტრული აღრიცხვისა და დაფინანსების ისეთივე მოთხოვნებს, როგორც ის პროგრამები, რომლებიც ფინანსდება კერძო ბიზნესის მიერ (ბასს 26:1), მაშინ გამოყენებულ უნდა იქნას ბასს 26 „საპენსიო პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება“.

ბასს 19 – „დასაქმებულთა გასამრჯელოები“ - ეხება საპენსიო ხარჯების განსაზღვრას იმ სა-

წარმოებისათვის, რომლებსაც აქვთ შესაბამისი საპენსიო პროგრამები. ბასს 26 სტანდარტი ავსებს ბასს 19-ს.

ცნობილია, რომ საპენსიო პროგრამები შესაძლოა არსებობდეს დადგენილშენატანიანი და დადგენილგადასახდელიანი პროგრამის სახით. მონაწილენი დაინტერესებულნი არიან ფონდის საქმიანობის შედეგებით, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მათ სამომავლო გასამრჯელოების დონეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპენსიო ფონდების მონაწილეებს აინტერესებთ, შემოსულია თუ არა ფონდში შენატანები, ხორციელდება მათზე სათანადო კონტროლი და ინვესტირება. ფონდის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია თუ არა პროგრამის ოპერაციების მოგებიანობით და კანონიერებით. შესაბამისად, აუცილებელია საპენსიო ფონდების აღრიცხვა და ანგარიშგება.

ზოგიერთ საპენსიო პროგრამას, დამქირავებლის გარდა, სხვა სპონსორებიც ჰყავს. მაგალითად, საქართველოში საპენსიო სისტემაში შენატანებს ერთობლივად აფინანსებენ როგორც ამ სისტემის მონაწილე პირები, ისე მათი დამსაქმებელი და თავად სახელმწიფოც. მოცემული სტანდარტი ამგვარი პროგრამების ანგარიშგებასაც ეხება.

საპენსიო პროგრამით მოსალოდნელი სამომავლო გადახდების დღევანდელი ღირებულების გაანგარიშება და წარდგენა შესაძლებელია ხელფასის მიმდინარე დონის საფუძველზე, ან პროგრამის მონაწილეთა ხელფასის საპროგნოზო დონის მიხედვით, რომელიც ეხება მათი სამსახურის მთელ პერიოდს პენსიაზე გასვლამდე. ქვეყანათა უმრავლესობაში აქტუარული შეფასებები ხორციელდება სულ მცირე ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. თუ აქტუარული შეფასებები ანგარიშგების თარიღისათვის მზად არ არის, გაანგარიშებების ბაზად გამოიყენება ყველაზე უახლოესი პერიოდის აქტუარული შეფასებები და მიეთითება შეფასების თარიღი.

საპენსიო პროგრამების ინვესტიციები რეალური ღირებულებით უნდა აისახოს. საბაზრო ფასიანი ქაღალდებისთვის რეალური ღირებუ-

ლება მათი საბაზრო ფასია. როდესაც პროგრამის ინვესტიციები ისეთია, რომ შეუძლებელია მათი რეალური ღირებულების დადგენა, განმარტებით შენიშვნებში უნდა დასაბუთდეს, რატომ არ იქნა გამოყენებული რეალური ღირებულება (ხარაბაძე, 2018:94)

ბასს 26-ის მოთხოვნათა თანახმად, რა სახითაც უნდა იყოს წარმოდგენილი საპენსიო პროგრამა, ფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ანგარიშგება საპენსიო გასამრჯელო-სათვის განკუთვნილი არსებული წმინდა აქტივების ცვლილების შესახებ;
- ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა;
- პროგრამის შინაარსისა და საანგარიშგებო პერიოდში პროგრამაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების შედეგების აღწერა. (ბასს 26:7)

საპენსიო ფონდების ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ევალებათ ამ ფონდების მმართველობით ორგანოებს (დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭო, საინვესტიციო საბჭო და უფროსი საინვესტიციო ოფიცერი).

საქართველოში საპენსიო სქემის ამოქმედებიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სისტემაში დარეგისტრირდა სულ 960 394 უნიკალური მონაწილე. 2020 წელს კი საპენსიო სქემაში ჩაერთო 146 303 ბენეფიციარი, რის შედეგადაც მონაწილეთა საერთო რაოდენობა გაიზარდა 1 106 683-მდე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ დასაქმებულთა რაოდენობამ ჯამში შეადგინა 1,235,938. 2022 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში საპენსიო შენატანების სისტემაში გაწევრიანდა 56 357 დასაქმებული.

საპენსიო სააგენტოს მიერ წარმოდგენილ უახლეს ანგარიშში, 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სქემაში გაწევრიანებულ დასაქმებულთა რაოდენობამ ჯამში შეადგინა 1 292 246 (საპენსიო სააგენტო, 2022)

საპენსიო აქტივზე დარიცხული ნებისმიერი და ყველა სარგებელი/ან ზარალი აისახება და

ინახება ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე, რომლებიც გახსნილია და იმართება სააგენტოს მიერ.

საპენსიო ფონდი აღრიცხავს ყველა მონაწილის დანაზოგს „ერთეულების სისტემის“ გამოყენებით. ერთეულები არის საპენსიო სქემის მონაწილეების მიერ, შენატანების განხორციელების დროს შექმნილი და საკუთრებაში მყოფი აქტივები. საპენსიო სქემის მონაწილეთა საკუთრებაში არსებული ერთეულების რაოდენობა აისახება მათ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე. საპენსიო აქტივის ერთეულს აქვს ფასი, რომელიც დენომინირებულია ლარში და ნებისმიერ დროს, როდესაც საპენსიო ფონდში განხორციელდება შენატანი, მოხდება ერთეულების შექმნა და ასახვა მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე.


2022 წლის იანვრიდან, საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული წესის მიხედვით, საინვესტიციო სამსახურმა დაიწყო საინვესტიციო პორტფელის შედეგების ყოველთვიური საჯარო ანგარიშის გამოქვეყნება, რაც

ხელს უწყობს საინვესტიციო საქმიანობის გამჭვირვალობას და საპენსიო ფონდის მონაწილეთა მიმართ ანგარიშვალდებულების ზრდას. სსიპ „საპენსიო სააგენტო“ წარმოადგინა დაგროვებითი საპენსიო სქემის შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2022 და 2021 წლების 30 ივნისის მდგომარეობით. იგი მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში: ბასს 26 - საპენსიო პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგებასთან.

საქართველოში საპენსიო ფონდის საინვესტიციო აქტივების წმინდა ღირებულებამ 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 2.436.907.086 ლარი შეადგინა, მ.შ. საინვესტიციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ამონაგები 335.679.787 ლარია. საპენსიო ფონდის წმინდა ამონაგებმა 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2022 წლის 30 ივნისამდე 35.6%, ხოლო რეალურმა ამონაგებმა ინფლაციის გათვალისწინებით 0.77% შეადგინა (საპენსიო სააგენტო, 2022). აქტივების განაწილება საინვესტიციო ინსტრუმენტების და ვალუტის მიხედვით წარმოდგე-


ნილია ქვემოთ მოტანილი დიაგრამებით.

დიაგრამა 1



აქტივების განაწილება საინვესტიციო ინსტრუმენტების მიხედვით

წყარო: საპენსიო სააგენტო.
დიაგრამა 2



აქტივების განაწილება ვალუტის მიხედვით

წყარო: საპენსიო სააგენტო.

პირველი დიაგრამიდან ჩანს, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 60.8% განთავსებულია 8 ქართულ კომერციულ ბანკში სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან ანაბრებში, რაზეც ირიცხება ფიქსირებული სარგებელი. 3.8% მიმდინარე ანგარიშებზეა, რომელთაც ერიცხება ცვლადი სარგებელი. უცხოურ აქციებში ინვესტირებული იყო 7.3%, ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში 0.1%, აშშ-ის სახაზინო ვალდებულებებში 10.6%, ხოლო 16.4% საქართველოს სახაზინო ფასიან ქაღალდებში. ვალუტის მიხედვით განაწილება ასეთია: 81% განთავსებული იყო ლარში და 19% უცხოურ ვალუტაში დომინირებულ აქტივებში (იხ. დიაგრამა 2). უნდა აღნიშნოს, რომ აქტივების მოცემული განაწილება აკმაყოფილებს კანონით და საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტით დადგენილ წილობრივ ფასიან ქაღალდებსა და უცხოურ ვალუტაში აქტივების განთავსების ლიმიტებს, საკრედიტო რეიტინგის, ბანკის საერთო კაპიტალისა და კონცენტრაციის შეზღუდვებს.

საპენსიო ფონდის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 8,115 მლნ ლარს, რომელიც ფინანსდება საპენსიო აქტივების წლიური მომსახურების საფასურით, კანონით მინიჭე-

ბული უფლებამოსილების ფარგლებში. ბიუჯეტის 65% განკუთვნილია სააგენტოს მმართველობით და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, ხოლო 35% საინვესტიციო საქმიანობისთვის.

დასკვნა

აუცილებელია, რომ საპენსიო ფონდების აღრიცხვა ასახავდეს საპენსიო ვალდებულების და აქტივების გრძელვადიან ხასიათს, რათა შეფასდეს მონაწილეთა საპენსიო უზრუნველსაყოფა. საპენსიო ვალდებულებები ვითარდება დროთა განმავლობაში, საბუღალტრო სტანდარტები იყენებენ შერეული მოდელის მიდგომას და ამიტომ, აუცილებელია შეირჩეს მოდელი, რომლითაც საპენსიო აქტივები და საპენსიო ვალდებულებები აღირიცხება თანმიმდევრულად. ბუღალტრული აღრიცხვის აღიარებისთვის, აქტივების გეგმური ღირებულება უნდა შემცირდეს, რათა ასახოს გრძელვადიანი ხასიათის საპენსიო ვალდებულება. თუ საპენსიო აქტივები აღირიცხება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, ეს გულისხმობს, რომ ინვესტიციების გრძელვადიანი ხასიათი, რომელიც დაგეგმილია საპენსიო ვალდებულების შესასრულებლად, აღირიცხება იმავე სისტემური გზით, რომლითაც საპენსიო

ვალდებულებები.

ლიტერატურა:

1. ჭიკაძე ნ., (2017) დაგროვებითი პენსიის სოციალურ-ეკონომიკური პერსპექტივები, ჟ. ეკონომიკა, #3-1;
2. P. J. Sweeting (2011) What SSAP 24 can tell us about accounting quality. Published online by Cambridge University Press. URL: <https://bit.ly/3Bgd2l4> (გადამოწმებულია 10.04.2023);
3. ბასს 26 „საპენსიო პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება“ URL:<https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/596>; (გადამოწმებულია 10.04.2023);
4. ხარაბაძე ე.,(2018) ფინანსური აღრიცხვა (მე-2 დონე, ლექციების კურსი).
5. სსიპ „საპენსიო სააგენტო“. დაგროვებითი საპენსიო სქემის შუალედური ფინანსური ანგარიშგება. URL:<https://pensions.ge/ka/public-information/financial-reports/non-audited-financial-statements/06-2022-IFRS> (გადამოწმებულია 10.04.2023).